საქართველოს მთავრობის

დადგენილება №449

2024 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრების შერჩევისა და დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 ნოემბრის №396 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრების შერჩევისა და დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 ნოემბრის №396 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/11/2024, 280060000.10.003.024791) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრების შერჩევისა და დანიშვნის წესის“:

1. მე-5 მუხლის:

ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კანდიდატის მიერ წარდგენილი აპლიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს ვაკანსიის განცხადებაში მითითებულ ფორმალურ მოთხოვნებს, მათ შორის, კანდიდატმა უნდა წარადგინოს ვაკანსიის განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები სრულად და ჯეროვნად.“;

ბ) მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კანდიდატს უნდა გააჩნდეს, სულ მცირე, ბაკალავრის ხარისხი. ვაკანსიის განცხადებით შესაძლოა, დაზუსტდეს მოთხოვნილი ხარისხის სპეციალობები;“;

გ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. იმ შემთხვევაში, თუ სამდივნო ვერ განსაზღვრავს, აკმაყოფილებს თუ არა კანდიდატი ამ მუხლის მე-8 – მე-11 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აღნიშნული აპლიკაცია გადაეცემა შესარჩევ კომისიას, რომელიც, კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, გადაწყვეტს, უნდა გადავიდეს თუ არა შესაბამისი კანდიდატი შერჩევის პროცესის შემდგომ ეტაპზე.“.

2. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) საჭიროების შემთხვევაში, ამ წესითა და ვაკანსიის განცხადებით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებას.“.

3. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრის ანაზღაურება უნდა შეთანხმდეს ინდივიდუალურად შესარჩევ კომისიასა და შესაბამის კანდიდატს შორის. შეთანხმებული ანაზღაურება, საშემოსავლო გადასახადისა და ნებისმიერი დანამატის ჩათვლით, ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დანიშნული წევრებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 190,000 ლარს წლიურად, ხოლო 250,000 ლარს წლიურად – ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დანიშნული წევრებისათვის. მმართველობითი საბჭოს წევრს ანაზღაურება უნდა მიეცეს ყოველთვიურად.“.

4. დანართ 1-ის:

ა) „შეფასების ფურცელი ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კანდიდატებისათვის“ ცხრილის კრიტერიუმი 1-ის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შესაბამისი უმაღლესი განათლება	0-20	1. უმაღლესი განათლების ხარისხი, სპეციალობა, სპეციალიზაცია და მათი რაოდენობები, მათ შორის, მიღებული დიპლომების რაოდენობა. 2. უნივერისტეტ(ებ)ის ხარისხი და რეპუტაცია. 3. ვაკანტური პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის საერთაშორისოდ აღიარებული კურსები, სერტიფიკატები, კვალიფიკაციები და პროგრამები. *შენიშვნა: უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომლის უმაღლესი განათლების სპეციალობა/სპეციალიზაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, ეკონომიკის, მათემატიკის, ფინანსების, ბუღალტერიის, ფიზიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ან კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით.“;*	

ბ) „შეფასების ფურცელი ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კანდიდატებისათვის“ ცხრილის კრიტერიუმი 1-ის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შესაბამისი უმაღლესი განათლება	0-20	1. უმაღლესი განათლების ხარისხი, სპეციალობა, სპეციალიზაცია და მათი რაოდენობები, მათ შორის, მიღებული დიპლომების რაოდენობა. 2. უნივერისტეტ(ებ)ის ხარისხი და რეპუტაცია. 3. ვაკანტური პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის საერთაშორისოდ აღიარებული კურსები, სერტიფიკატები, კვალიფიკაციები და პროგრამები. *შენიშვნა: უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომლის უმაღლესი განათლების სპეციალობა/სპეციალიზაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, ეკონომიკის, მათემატიკის, ფინანსების,*	

		ბუღალტერიის, ფიზიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ან კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით.“.	

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**